ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

05 ივლისი 2023

N 429

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 30 მაისს სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი)N136 განცხადება (რეგისტრაციის N91864/16; 30.05.2023წ) სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამების შესახებ. სამსახურის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით (წერილის N16/49190, 16.06.2023), პროფესიულმა ორგანიზაციამ 2023 წლის 26 ივნისს დამატებით წარადგინა N151 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N108980/16; 26.06.2023წ.) განახლებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2023 წლის 26 ივნისის N151 კორესპონდენციით წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2023 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-017/23;
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ბაფ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ბაფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

5. დაევალოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64, პეკინის ქ. N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) -მ.შ

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

https://edoc.mof.ge/public/#/429-16-4-202307051525

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE